



სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

ინგლისური ფილოლოგია (ინგლისური ენა და ლიტერატურა)

**English Philology (English Language and Literature)**

მიმართულება/სპეციალობა: 10 ჰუმანიტარული მეცნიერებანი; ინგლისური ენა და ლიტერატურა

დარგი - 1005 ფილოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის ბაკალავრი (BA in Philology)

პროგრამის ხელმძღვანელები:

მანანა ღარიბაშვილი, პროფესორი, უცხო ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტი

შორენა ლაზვიაშვილი, ასისტენტ- პროფესორი, უცხო ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტი

1. ცვლილებები შეტანილია ფაკულტეტის საბჭოს მიერ

ოქმი №8, 29 მარტი 2018 წელი

ფაკულტეტის დეკანი :

/პროფ. ნ. კოჭლოშვილი/

2. ცვლილებები შეტანილია ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

ოქმი №14, 29 მარტი 2018 წელი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

/ასოც. პროფ.შ. ჭკადუა/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ

ოქმი №17, 29 მარტი 2018 წელი

უნივერსიტეტის რექტორი

/ასოც. პროფ. ი.შიოშვილი/

თელავი

2018

*პროგრამაში შესულია ცვლილებები და დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოს სხდომაზე 2017 წლის 10 მაისს, ოქმი # 15*

- ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
- დეპარტამენტი: უცხო ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტი
- საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ინგლისური ენა და ლიტერატურა (English Language and Literature)
- პროგრამის ანალოგიები:

1) საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ენა და ლიტერატურა; ინგლისი; დიდი ბრიტანეთი;

<https://www.ox.ac.uk/admissions/undergraduate/courses-listing/english-language-and-literature?wssl=1>

2) საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ენა და ლიტერატურა; კვიპოსის ევროპული უნივერსიტეტი, კვიპროსი.

<https://www.educations.com/study-abroad/european-university-cyprus/bachelor-in-english-language-and-literature-595127>

3) საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ენა და ლიტერატურა; ნიუ იორკის უნივერსიტეტი პრაღაში, პრაღა, ჩეხეთი

<https://www.unyp.cz/contact>

4) საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ენა და ლიტერატურა; ესექსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

<https://www.essex.ac.uk/courses/ug00132/1/ba-english-language-and-literature>

5) საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ენა და ლიტერატურა; ბირმინგჰემის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

<https://www.birmingham.ac.uk/undergraduate/courses/english/english-language-and-literature.aspx>

- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:

მანანა ღარიბაშვილი - დოქტორი, პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით

მობ: 551 103 114

ელ-ფოსტა: [manana\\_garibashvili@yahoo.com](mailto:manana_garibashvili@yahoo.com)

შორენა ლაზვიაშვილი - დოქტორი, ასისტენტ- პროფესორი ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით  
მობ: 555000540

[shorena.lazviashvili@gmail.com](mailto:shorena.lazviashvili@gmail.com)

- CV იხილეთ ცალკე ან სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის) ვებ-გვერდზე ([www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge))
- აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)
- საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: ძირითადი
- სწავლების ენა: ქართული ენა
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის ბაკალავრი (BA in Philology) (მიმართულება - ჰუმანიტარული მეცნიერებები - 10; დარგი - ფილოლოგია -1005; ქვედარგი - ინგლისური ფილოლოგია - 100502 (უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად)

#### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი, კერძოდ, პროგრამაზე შეუძლია ჩარიცხვა საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმატებით ჩააბარებს საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ გამოცდებს.

პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ.

#### საგანმანათლო პროგრამის მიზანი:

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს

მისით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლება; შრომითი ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება; სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა; სამეცნიერო-კვლევითი გარემოს გაუმჯობესება; კურსდამთავრებულთა დონის შესაბამისობა ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან; აგრეთვე, იმ საჭირო ცოდნის მიცემა, რომელიც იძლევა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.

**ინგლისური ენისა და ლიტერატურის** საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს კომპლექსური ცოდნის მიღებას ინგლისურ ფილოლოგიაში (ინგლისური ენის, ინგლისური ენის თეორიის, უცხოური და, უშუალოდ, ინგლისურენოვანი ლიტერატურის მიმართულებებით) და ინტელექტუალური პოტენციალის გაღრმავებას. პროგრამის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სპეციალობის პრაქტიკული და თეორიული ასპექტების სიღრმისეული შესწავლა, პრაქტიკული და მეცნიერული კომპეტენციების შექმნა, მათი გამოყენების მაღალი სტანდარტების დაუფლება. შესაბამისად, სტუდენტი შეძლებს ინგლისურ ენაზე წარმართული დებატებისა და დისკუსიების შეჯამების დროს ლოგიკური დასკვნების გაკეთებას. საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში აგრეთვე ითვალისწინებს უცხოენოვან გარემოში პროფესიასთან მიახლოებული საკითხების გარშემო კომუნიკაციას, კერძოდ, ინგლისურენოვან გარემოში გარკვეული სახის ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას.

ამასთანავე, პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებასა და განვითარებას; პროგრამით გათვალისწინებული დარგის სამეცნიერო საფუძვლების შესწავლას, მთავარი მეთოდოლოგიური კომპეტენციების გამომუშავებას და პრაქტიკულ-პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ეს ყველაფერი კი, პროგრამის კურსდამთავრებულს ეხმარება დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტად და საზოგადოების სრულყოფილი წევრად ჩამოყალიბებაში.

პროგრამის განხორციელების საქმეში უდიდესი როლი მიუძღვით მასში ჩართულ აკადემიურ პერსონალსა და მასწავლებლებს, რომლებიც სწავლების ხარისხის მნიშვნელოვნად გაზრდის მიზნით მაქსიმალურად ითვალისწინებენ ამ დარგში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს, საერთაშორისო სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებების მდიდარ გამოცდილებას რაც, საბოლოო ჯამში, ამ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მყარი გარანტიაა. სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ინგლისური ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამაში პერიოდულად ჩართულნი არიან უცხოელი სპეციალისტები (ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში მწოდველი პროფესორები; მშვიდობის კორპუსის მოხალისეები პარტნიორულის წავლების რეჟიმში), რომლებიც ქართველ კოლეგებთან

ერთად აქტიურად მუშაობენ სტუდენტებთან სალექციო თუ სასემინარო შეხვედრების დროს. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მოამზადოს და სამუშაო ბაზარზე გამოუმუშავს კონკურენტუნარიანი სპეცილისტები.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში არსებობს გარკვეული სახის დამხმარე სერვისები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტთა წარმატების მიღწევასა და კეთილდღეობას. სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით ჩაერთონ სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებთ, ინტელექტუალურ, სპორტულ და გასართობ წრეებში. ასევე, ადმინისტრაციულ საკითხებზე რჩევებისათვის მათ შეუძლიათ მიმართონ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

ყოველივე ეს სტუდენტებს უქმნის შესაფერის გარემოს, რათა უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებმა გაიკვილონ გზა სამომავლოდ და ღირსეული ადგილი დაიკაონ საზოგადოებაში; მოიძიონ შესაფერისი სამუშაო ადგილები ან სწავლა განაგრძონ შემდგომ საფეხურებზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ თეორიული ცოდნის გაღრმავებისა და აკადემიურ პერსონად ჩამოყალიბების მიზნით. შესაბამისად, **ინგლისური ენისა და ლიტერატურის** საბაკალავრო კურსდამთავრებულის დასაქმება შეიძლება როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სტრუქტურაში, სადაც ზოგადი განათლების მქონე ფილოლოგის საჭიროებაა. ასეთი ორგანიზაციები პრაქტიკულად შეიძლება მრავალი აღმოჩნდეს: ადგილობრივი და რეგიონალური ადმინისტრაცია, საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური, მასმედია, საბიბლიოთეკო, სამუზეუმო, საგამომცემლო, მთარგმნელობითი დაწესებულებები, ტურისტული კომპანიები და სხვა. გარდა ამისა, მან პედაგოგიური მიმართულებით დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში შეიძლება შეძლოს დასაქმება ინგლუსირი ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სკოლაში.

### **სწავლის შედეგი:**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ორიენტირებულია დასაქმების (შრომის) ბაზრის საერთო მოთხოვნებსა და დამსაქმებლის (დაინტერესებულ პირთა) დაკვეთაზე (ინტერესებზე).

სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებთან დამატებითი (საჭიროებებიდან გამომდინარე) ინდივიდუალური საკონსულტაციო მუშაობა - კვირაში 2 სთ (სულ 60 სთ წელიწადში). საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე საკონსულტაციოდ გამოყოფილი

დრო გადანაწილდება შესაბამისად თითოეულ სტუდენტზე. საჭიროების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს გამოუმუშავდებათ შემდეგი სახის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

### **ცოდნა და გაცნობიერება:**

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე ფილოლოგიის ბაკალავრს ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით გააჩნია ზოგადად, ფილოლოგიისა და კერძოდ, ინგლისური ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ფართო ცოდნა, ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის პრინციპებს; გაცნობიერებული აქვს ინგლისური ფილოლოგიის დარგის დამახასიათებელი სპეციფიკური ასპექტები; დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას (ინგლისური) სულ მცირე B2 დონეზე; აგრეთვე გააჩნია სათანადო ცოდნა საზღვარგარეთის ლიტერატურაში; ერკვევა ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ძირითადი ეტაპებისა და მიმდინარეობებში. ამასთანავე, მას აქვს ამ სფეროში შემავალი კომპლექსური საკვების გაცნობიერების უნარი.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს შეუძლია ინგლისური ფილოლოგიის დარგობრივ სფეროში გარკვეული სახის პრობლემების ამოცნობა გადაჭრა, წყაროების დამუშავება, შესაბამისი სფეროსთვის დამახასიათებელი სამეცნიერო თუ კვლევითი საქმიანობის (საკონფერენციო თემები, სადიპლომო ნაშრომი, საკონფერენციო თუ სასემინარო აქტივობები) განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. პროგრამით მიღებული შესაბამისი ფართო ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური და ლიტერატურული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი; ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს შეუძლია წერითი და ზეპირი კომუნიკაცია აღნიშნული ენის ფარგლებში; აგრეთვე გააჩნია ამ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენის ეფექტურად გამოყენება.

## დასკვნის უნარი

შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და შესაბამისი არგუმენტებით დასაბუთება; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, გაანალიზება, ჩამოყალიბება და შესაბამისი ფორმით გადმოცემა-პრეზენტაცია; ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს აგრეთვე შეუძლია დარგში არსებული მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება, კრიტიკული შეფასება და, შემდგომ, წერილობითი თუ ზეპირი დასკვნის ჩამოყალიბება.

## კომუნიკაციის უნარი

დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია როგორ სპეციალისტებთან, ასევე არასპეციალისტებთან; ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრებს აგრეთვე შეუძლიათ პროექტის/ნაშრომის დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და მათი შემდგომი ზეპირი პრეზენტაცია. მათ ასევე შეუძლიათ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება შესაბამის დარგობრივ სფეროში.

## სწავლის უნარი

ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს განუვითარდება სწავლის უნარი ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობის საფუძველზე. მას გამოუმუშავდება ფილოლოგიის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; ამასთანავე, იგი თავისუფლად შეძლებს საკუთარი სწავლის პროცესის მართვას რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით.

## ღირებულებები

ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო აკადემიური და ზნეობრივი ნორმები; გააჩნია ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი; საკუთარი პროფესიისადმი და სამუშაო გარემოსადმი პატივისცემის გრძნობა; აგრეთვე, დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.



- სწავლის შედეგების რუქა:

• კომპეტენციების ჩამონათვალი

სასწავლო კურსები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები						
უცხო ენა 1 (გერმანული)	X	X	X	X	X	X
უცხო ენა 2 (გერმანული)	X	X	X	X	X	X
უცხო ენა 3 (გერმანული)	X	X	X	X	X	X
უცხო ენა 4 (გერმანული)	X	X	X	X	X	X
უცხო ენა 1 (ფრანგული)	X	X	X	X	X	X
უცხო ენა 2 (ფრანგული)	X	X	X	X	X	X
უცხო ენა 3 (ფრანგული)	X	X	X	X	X	X
უცხო ენა 4(ფრანგული)	X	X	X	X	X	X
უცხო ენა 1 (რუსული)	X	X	X	X	X	X
უცხო ენა 2 (რუსული)	X	X	X	X	X	X
უცხო ენა 3 (რუსული)	X	X	X	X	X	X
უცხო ენა 4 (რუსული)	X	X	X	X	X	X

აკადემიური წერა	X	X	X	X	X	X
კომპიუტერის უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	X
ძირითადი სპეციალობის კურსები						
სავალდებულო კურსები						
ფონეტიკა/აუდირება	X	X		X	X	
ლექსიკა/გრამატიკა/ზეპირმეტყველება (წინა-საშუალო დონე)	X	X	X	X	X	X
ლექსიკა/გრამატიკა/ზეპირმეტყველება (საშუალო დონე)	X	X	X	X	X	X
ლექსიკა/გრამატიკა/ზეპირმეტყველება (ზედა საშუალო დონე)	X	X	X	X	X	X
ლექსიკა/გრამატიკა/ზეპირმეტყველება (უმაღლესი დონე)	X	X	X	X	X	X
ტექსტი და კომუნიკაცია	X	X	X	X	X	X
მედიის ენა	X	X		X	X	X
თარგმნის ხერხები და სტრატეგიები	X	X	X	X	X	X

ქვეყანათმცოდნეობა	X	X	X	X	X	X
ინგლ. ენის თეორიული გრამატიკა	X	X	X	X	X	X
ინგლისური ენის ლექსიკოლოგია	X	X	X	X	X	X
ინგლისური ენის სტილისტიკა	X	X	X	X	X	X
ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა	X	X	X	X	X	X
დარგობრივი ლიტერატურის ისტორია მე-19 საუკუნემდე	X	X		X	X	X
დარგობრივი ლიტერატურის ისტორია 19-20 სს-ში	X	X		X	X	X
ჟანრების პოეტიკა და ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაცია	X	X		X		X
ლიტერატურული შედევრები და ფილმის სემინარი	X	X	X	X	X	X
წერა 1	X	X	X	X	X	X
ლიტერატურის თეორია	X	X	X	X	X	X
შესავალი კურსი ენათმეცნიერებაში	X	X	X	X		X
ფილოსოფიის შესავალი	X	X	X	X	X	X
ქართული ენის მოკლე კურსი (ფონეტიკა/მორფოლოგია)	X	X	X	X	X	X

არჩევითი კურსები						
საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის მოსამზადებელი კურსი	X	X	X	X	X	X
წერა 2	X	X	X	X	X	X
ქართული ენის მოკლე კურსი (სინტაქსი)	X	X	X	X	X	X
ეგზისტენციალიზმი; ინგლისური რეალისტური რომანი	X	X	X	X	X	X
კლასიკური მწერლობა; ამერიკული ნოველისტიკა	X	X	X	X	X	X
საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია მე-18 საუკუნის ბოლომდე	X	X	X	X	X	X
საზღვარგარეთის ლიტერატურა 19-20 სს	X	X	X	X	X	X
საქმიანი კომუნიკაციების ტექნოლოგიები	X	X		X	X	X
მე-19-20 საუკუნეების ამერიკული ლიტერატურა	X	X		X		
ქართულ-უცხოური ლიტერატურული პარალელები	X	X	X	X	X	X
ბრიტანეთისა და ამერიკის ტრადიციები და წეს-ჩვეულებები	X	X	X	X	X	X

საბაკალავრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X
---------------------	---	---	---	---	---	---

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები/ფორმები:**

სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა ხდება სხვადასხვა მეთოდით/საშუალებით: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა.

სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის ფორმებს/აქტივობებს: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, რეფერატი, სემინარი და სხვა.

გარდა ამისა, სწავლა-სწავლება მიმდინარეობს ასევე: ვერბალური, წიგნზე და მასალაზე (საანალიზო წყაროები) მუშაობის; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL); თანამშრომლობითი (cooperative) სწავლების, ახსნა-განმარტებითი, ევრისტიკული, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, აღწერითი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების კომბინაციით; ინდუქცია-დედუქციის პრინციპებზე დაყრდნობით.

პროგრამით განსაზღვრული მეთოდები და აქტივობები/ფორმები ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაციას, ორიენტირებულია სტუდენტზე და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსის შესწავლის აქტივობას/ფორმას და მეთოდებს ირჩევს ლექტორი, ასახავს კონკრეტული საგნის სილაბუსში და პასუხისმგებელია სწავლის შედეგებზე.

**დასაქმების სფეროები:**

ინგლისური ენისა და ლიტერატურის ბაკალავრიატის როგორც ფართო პროფილის სპეციალისტის კურსდამთავრებულის დასაქმება შეიძლება როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სტრუქტურაში, სადაც ზოგადი განათლების მქონე ფილოლოგის საჭიროებაა. ასეთი ორგანიზაციები პრაქტიკულად შეიძლება მრავალი აღმოჩნდეს: ადგილობრივი და რეგიონალური ადმინისტრაცია, საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური, მასმედია, საბიბლიოთეკო, სამუზეუმო, საგამომცემლო, მთარგმნელობითი დაწესებულებები, ტურისტულ კომპანიებში და სხვა. გარდა ამისა, მან პედაგოგიური

მიმართულებით, დამატებითი კვალიფიკაციის მიღწევების შემთხვევაში შეიძლება შეძლოს დასაქმება ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სკოლაში.

### მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში არსებობს შესატყვისი ინფრასტრუქტურა: თესაუს ბიბლიოთეკა (უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ-საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა (**Cambridge Journals Online; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books** (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); **SAGE Premier** (<http://journals.sagepub.com/>); ScienceDirect® online); ბიბლიოთეკაში არსებული ფონდი ძირითადად შეესაბამება სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას), სამკითხველო დარბაზი, ამერიკის შესწავლის ცენტრის წიგნადი ფონდი, ფრანკოფონიის კაბინეტი, ასევე ლინგაფონის კაბინეტი, საპრეზენტაციო დარბაზები და კომპიუტერული ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და სამეცნიერო ლიტერატურით, ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო:

- ✓ ელექტრო ენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- ✓ სასმელი წყლით უზრუნველყოფის 24 საათიანი მომსახურების რეჟიმი;
- ✓ საინტერნეტო სივრცე;
- ✓ გათბობის საშუალებები;
- ✓ სველი წერტილები.

სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის უნივერსიტეტში გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები. ამ მიზნით არსებობს:

- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ✓ ევაკუაციის გეგმა;
- ✓ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის უნივერსიტეტში გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებითა (2007 წლის 5 იანვარი, ქ. თბილისი) და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულებით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებისა (2007 წლის 5 იანვარი, ქ. თბილისი) და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების თანახმად პროგრამის სილაბუსებში.

შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, ორ ფორმად იყოფა - შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის, ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ფორმის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა.

შეფასების ზოგად კომპონენტებსა და კრიტერიუმებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი სტრუქტურა. საგნის სილაბუსში, სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მათი დაზუსტება.

შეფასება ხდება ქულათა სისტემით, ყოველი საგნის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას. საგანში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დასკვნით გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის გავლის პროცესში ნაჩვენებ შედეგები.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

91-100 ქულა - ნიშანი A (ფრიადი)

81-90 ქულა - ნიშანი B (ძალიან კარგი)

71-80 ქულა - ნიშანი C (კარგი)

61-70 ქულა - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)

51-60 ქულა - ნიშანი E (საკმარისი)

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

41-50 - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადაში დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად გადააბაროს მხოლოდ დასკვნითი გამოცდა. ასეთ შემთხვევაში მის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული იქნება საგნის სხვა კომპონენტები მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვილი ქულათა ჯამიც.

40 და ნაკლები ქულა - ნიშანი F (ჩაიჭრა), სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს შესასრულებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი რეგისტრირდება საგანზე, რაზეც დგება ინდივიდუალური ცხრილი საგნის ასათვისებლად. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა.

დასკვნითი და შუალედური შეფასებების კომპეტენციის მინიმალურ გადასალახ ზღვარს განსაზღვრავს სასწავლო კურსის ლექტორი(რომელიც არ აღემატება შუალედური და დასკვნითი შეფასებების 60 %-ს) .

#### **დამატებითი ინფორმაცია:**

- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შეუძლია საბაკალავრო ნაშრომის შერჩევა სხვადასხვა თემატიკაზე ინგლისური ფილოლოგიის ფარგლებში (ენათმეცნიერების ქვედარგები - ინგლისური ენის ფონეტიკა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, თეორიული გრამატიკა, აგრეთვე საზღვარგარეთის ლიტერატურა).
- ბაკალავრი ჩართულია ინგლისური ენისა და ლიტერატურის მიმართულებით მუდმივმოქმედი სემინარის მუშაობაში, აქტიურ მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრის საქმიანობაში და შესაბამისად, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში.
- რეკომენდაციის სახით წარმოვადგენთ major/minor პროგრამების კომბინაციებს, რომელთა პარალელური დაუფლება მომგებიანი იქნება სტუდენტისათვის ბაკალავრიატში სწავლებისას გამოკვეთილი საკუთარი პროფესიული ინტერესების მიხედვით ცოდნის გაღმავების და შესაბამისი მიმართულებით დასაქმებისათვის.

**(დამატებითი) პროგრამის არჩევანი:** დამატებით პროგრამას (60 კრედიტი) სტუდენტი ირჩევს პირველი სასწავლო წლის ბოლოს მაის-ივნისში. ამისათვის სტუდენტებს ვთავაზობთ დამატებითი სპეციალობის არჩევის ფორმას, სადაც მოცემულია სპეციალობის ჩამონათვალი. ამ ფორმის მიხედვით სტუდენტი ახდენს სპეციალობის არჩევანს.



**შენიშვნა:** დამატებითი პროგრამის (60 კრედიტი) ნაცვლად, ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამის სტუდენტს აქვს უფლება აირჩიოს სასწავლო კურსები თავისუფალი კრედიტების ფარგლებში უნივერსიტეტის მასშტაბით.

**სწავლების ორგანიზების თავისებურებანი:**

• **პროგრამის მოცულობა კრედიტებში:** 240 ECTS კრედიტი.

საბაკალავრო სწავლება მოიცავს 4 (ოთხ) სასწავლო წელს, რომელიც შედგება 8 (რვა) სემესტრისგან (კრედიტების რაოდენობაა 240). ერთი კრედიტი უტოლდება 25 (ოცდახუთ) საათს, რაც მოიცავს სტუდენტის როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. 240 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:

- 30 კრედიტი - საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები
- 15 კრედიტი - თავისუფალი არჩევითი კრედიტები
- 135 კრედიტი - ძირითადი სპეციალობის კრსები
  - ა) 105 კრედიტი - სავალდებულო კურსები
  - ბ) 20 კრედიტი - არჩევითი კურსები
  - გ) 10 კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომი
- 60 კრედიტი - დამატებითი სპეციალობა/თავისუფალი კრედიტები

სულ - 240 კრედიტი

**სწავლების ფორმატი:** ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:**

№	სასწავლო კურსების დასახელება	ლექტორის სახელი, გვარი	კვალიფიკაცია	დაკავებული თანამდებობა
1	1) ინგლისური ენის ლექსიკოლოგია 2) ინგლისური ენის სტილისტიკა 3) ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა 4) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	მანანა ღარიბაშვილი	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი	პროფესორი
2.	1) ინგლისური ენის ლექსიკოლოგია	შორენა ლაზვიაშვილი	ფილოლოგიის	ასისტენტ

	<p>2) ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა</p> <p>3) წერა 1</p> <p>4) ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა</p> <p>5) ლიტერატურული შედეგები და ფილმის სემინარი (ლექცია)</p> <p>5) საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა</p> <p>6) ამერიკული და ბრიტანული წეს-ჩვეულებები (პრაქტიკული)</p> <p>7) საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის მოსამზადებელი კურსი</p>		აკადემიური დოქტორი,	პროფესორი
3.	<p>1) ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა</p> <p>2) ინგლისური ენის სტილისტიკა</p> <p>3) ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა</p> <p>4) ლექს./გრამატიკა/ზეპ.მეტყველება(წინა საშუალო დონე);</p> <p>5) ლექს./გრამატიკა/ზეპ.მეტყველება(უმაღლესი დონე);</p> <p>6) მედიის ენა</p> <p>7) თარგმნის ხერხები და სტრატეგიები</p> <p>8) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა</p>	ანა გიგაური	განათლების აკადემიური დოქტორი	ასისტ.პროფესორი
4.	<p>1) ფონეტიკა-აუდირება</p> <p>2) ლიტერატურული შედეგები და ფილმის სემინარი (პრაქტიკული)</p>	მაკა კოჭაური	განათლების აკადემიური დოქტორი,	მოწვეული დოქტორი
5.	1) ტექსტი და კომუნიკაცია	ქეთევან შაშვიაშვილი	განათლების აკადემიური დოქტორი	მოწვეული დოქტორი

	<p>1) ლექს./გრამატიკა/ზეპ.მეტყველება(საშ. დონე დონე) (პრაქტიკული);</p> <p>2) ლექს./გრამატიკა/ზეპ.მეტყველება(ზე და საშ. დონე);( პრაქტიკული);</p> <p>3) ტექსტი და კომუნიკაცია (პრაქტიკული)</p> <p>1) ქვეყანათმცოდნეობა (სემინარი/პრაქტიკული)</p>	ია ნადირაძე	ფილოლოგიის აკადემიური დიქტორი	ასისტენტი
	<p>ქანრების პოეტიკა და ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაცია (ლექცია)</p>	თამარ მიქელაძე	განათლების აკადემიური დოქტორი	ასოც. პროფესორი
	<p>1) ლექს./გრამატიკა/ზეპ.მეტყველება(ზე და საშ. დონე);( პრაქტიკული);</p> <p>2) ტექსტი და კომუნიკაცია (პრაქტიკული)</p> <p>3) ქვეყანათმცოდნეობა (სემინარი/პრაქტიკული)</p>	ია კველიშვილი	სადოქტორო პროგრამა ფილოლოგიის დოქტორანტი	ასისტენტი
	<p>1) მედიის ენა</p> <p>2) ლექს./გრამატიკა/ზეპ.მეტყველება(საშ. დონე დონე) (პრაქტიკული);</p> <p>3) ამერიკული და ბრიტანული ქეს-ჩვეულებები (პრაქტიკული)</p>	ლალი სეხნიაშვილი		შტატის პედაგოგი
	ქვეყანათმცოდნეობა	გიორგი გოცირიძე	ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი	პროფესორი
	აკადემიური წერა	ლალი ძამუკაშვილი	განათლების აკადემიური დოქტორი	ასოც. პროფესორი

	შესავალი ენათმეცნიერებაში	მაყვალა მიქელაძე	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოც. პროფესორი
	<ol style="list-style-type: none"> <li>1) დარგობრივი ლიტერატურის ისტორია (მე-19 საუკუნემდე)</li> <li>2) 19-20 სს დარგობრივი ლიტერატურის ისტორია</li> <li>3) ეგზისტენციალისზმი; ინგლისური რეალისტური რომანი</li> <li>4) კლასიკური მწერლობა; ამერიკული ნოველისტიკა</li> <li>5) საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია მე-19-20 სს</li> <li>6) მე-19-20 სს. ამერიკული ლიტერატურა</li> <li>7) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა</li> </ol>	შორენა ვახტანგიშვილი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	მოქვეული დოქტორი
	კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები	მარიამ ზაქარიაშვილი	პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი
	ფილოსოფიის შესავალი	გივი სიბაშვილი	მეცნიერებათა დოქტორი	ასოც. პროფესორი
	ლიტერატურის თეორია	ნინო გოგიაშვილი	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი	ასოც. პროფესორი
	<ol style="list-style-type: none"> <li>1) ქართული ენის მოკლე კურსი (ფონეტიკა/მორფოლოგია)</li> <li>2) ქართული ენის მოკლე კურსი (სინტაქსი)</li> </ol>	ლია ტალახაძე	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი	ასოც. პროფესორი
	1) ქართულ-უცხოური ლიტერატურული პარალელები	ნანა რჩეულიშვილი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოც. პროფესორი

საქმიანი კომუნიკაციების ტექნოლოგიები	ნუნუ გელდიაშვილი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	პროფესორი
--------------------------------------	------------------	---------------------------------	-----------

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (Major) - ინგლისური ფილოლოგია (ინგლისური ენა და ლიტერატურა)

დანართი № 2

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსი	სტატუსი	კოდი	წინაპირობა (კოდი)	კრედიტების განაწილება სასწავლო წლებისა და სემესტრების მიხედვით								საათების განაწილება															
					I სემესტრი		II სემესტრი		III სემესტრი		IV სემესტრი		V სემესტრი		VI სემესტრი		VII სემესტრი		VIII სემესტრი		ლექცია	სემინარი/პრაქტ. სამუშაო	საკონტაქტო		ფინალური გამოცდის საათები	სულ	დამოუკიდებელი	სულ საათები
					ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.	ს.წ.								
	საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები				30													78	156	36	12	282	468	750				
1.	უცხო ენა 1 (ფრანგული, გერმანული, რუსული)	სავალდ.	U1FFL1 U1FLG1 U1FLR1	არა აქვს	5	5												13	26	3	3	2	47	78	125			
2.	უცხო ენა 2 (ფრანგული,	სავალდ.	U1FLG2 U1FFL2	U1FFL1	5		5											13	26	3	3	2	47	78	125			

	გერმანული, რუსული)		U1FLR2	U1FLG 1 U1FLR 1																
3.	უცხო ენა 3 (ფრანგული, გერმანული, რუსული)	სავალდ .	U1FLG3 U1FFL3 U1FLR3	U1FLG 2 U1FFL 2 U1FLR 2	5			5					13	26	3	3	2	47	78	125
4.	უცხო ენა 4 (ფრანგული, გერმანული, რუსული)	სავალდ .	U1FLG4 U1FFL4 U1FLR4	U1FLG 3 U1FFL 3 U1FLR 3	5			5					13	26	3	3	2	47	78	125
5	აკადემიური წერა	სავალდ .	U1AW	არ აქვს	5	5							13	26	3	3	2	47	78	125
6	კომპიუტერების უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები	სავალდ .	U1CSIT	არ აქვს	5	5							13	26	3	3	2	47	78	125
	<b>თავისუფალი არჩევითი კრედიტები</b>				<b>1 0</b>															<b>250</b>
	<b>ძირითადი სპეციალობის კურსები</b>																			
	<b>სავალდებულო კურსები</b>				<b>10 5</b>															<b>2625</b>
1.	ფონეტიკა/აუდირე ბა	სავალდ .	HUS1EL	არ	5	5							13	26	3	3	2	47	78	125

			PL	აქვს																
2.	ლექს./გრამ./ზეპ.მე ტყველ (წინა საშ.დონე)	სავალდ .	HUS1EL VGSPIL	არ აქვს	5	5							26	39	3	3	2	73	52	125
3.	ლექს./გრამ./ზეპ.მე ტყველ (საშ.დონე)	სავალდ .	HUS1EL VGSIL	ლექს./ გრამ./ ზეპ.მე ტყველ (წინა საშ.დ ონე)H US1EL VGSPIL	5		5						26	39	3	3	2	73	52	125
4.	ლექს./გრამ./ზეპ.მე ტ. (ზედა საშ.დონე)	სავალდ .	HUS1EL VGSUIL	ლექს./ გრამ./ ზეპ.მე ტყველ (საშ.დ ონე)H US1EL VGSUIL	5			5					26	39	3	3	2	73	52	125
5.	ლექს./გრამ./ზეპ.მე ტ. (უმაღლ.დონე)	სავალდ .	HUS1EL VGSAL	ლექს./ გრამ./ ზეპ.მე ტ. (ზედა საშ.დ ონე)	5				5				26	39	3	3	2	73	52	125

				HUS1E LVGS UIL																
6.	ტექსტი და კომუნიკაცია	სავალდ .	HUS1EL TC	არ გააჩნია	5		5						13	26	3	3	2	47	78	125
7.	მედიის ენა	სავალდ .	HUS1EL ML	არ გააჩნია	5						5		13	26	3	3	2	47	78	125
8.	თარგმნის ხერხები და სტრატეგიები	სავალდ .	HUS1EL TMS	არ გააჩნია	5					5			13	26	3	3	2	47	78	125
9.	ქვეყანათმცოდნეობა	სავალდ .	HUS1EL CS	არ გააჩნია	5				5				26	13	2	2	2	45	80	125
10.	ინგლ.ენის თეორიული გრამატიკა.	სავალდ .	HUS1EL TGEL	არ გააჩნია	5						5		13	26	3	3	2	47	78	125
11.	ინგლისური ენის ლექსიკოლოგია	სავალდ .	HUS1EL LEL	არ გააჩნია	5					5			13	26	3	3	2	47	78	125
12.	ინგლისური ენის სტილისტიკა	სავალდ .	HUS1EL SEL	არ გააჩნია	5						5		13	26	3	3	2	47	78	125
13.	ინგლის. ენის თეორ. ფონეტიკა	სავალდ .	HUS1EL TPPEL	არ გააჩნია	5					5			13	26	3	3	2	47	78	125
14.	დარგობრ. ლიტ-ის ისტორია მე-19 ს-	სავალდ .	HUS1EL HFRLEL	არ გააჩნია	5		5						13	26	3	3	2	47	78	125



	მდე		U19C	ა																	
15	შესავალი ენათმეცნიერებაში	სავალდ	HUS1EL IL	არ გააჩნი ა	5				5					13	26	3	3	2	47	78	125
16	დარგობრ. ლიტ-ის ისტორია 19-20 სს- ში	სავალდ	HUS1EL H19- 20CFRE LL	დარგ ობრივ ი ლიტე რატუ რის ისტო რია მე-19 საუკუ ნემდე HUS1E LHFRL ELU19 C	5				5					13	26	3	3	2	47	78	125
17	ჟანრების პოეტიკა და ლიტ. ტექტსის ინტერპრეტაცია	სავალდ	HUS1EL PGLTI	არ გააჩნი ა	5				5					13	26	3	3	2	47	78	125
18	ლიტერატურული შედეგები და ფილმის სემინარი	სავალდ	HUS1EL LMFS	არ გააჩნი ა	5				5					13	26	3	3	2	47	78	125
19	წერა 1	სავალდ	HUS1EL W1	არ გააჩნი ა	5			5						13	26	3	3	2	47	78	125
20	ლიტერატურის თეორია	სავალდ	HUS1EL TL	არ აქვს	5	5								13	26	3	3	2	47	78	125
21	ქართული ენის	სავალდ	HUS1EL	არ	5	5								13	26	3	3	2	47	78	125

	მოკლე კურსი 1 (ფონეტიკა/მორფოლოგია)	.	SCGL1P M	აქვს																
22	ფილოსოფიის შესავალი	სავალდ	HUS1ELI CP	არ აქვს	5	5							13	26	3	3	2	47	78	125
	<b>არჩევითი კურსები</b>				<b>20</b>								<b>52</b>	<b>104</b>	<b>24</b>	<b>8</b>	<b>188</b>	<b>312</b>	<b>500</b>	
1.	საერთ.სასერთ.გამ ოცდის მოსამზადებელი კურსი	არჩევი თი	HUS1EL PCICE	ლექსი კა/გრა მატიკა /ზეკ.მ ეტყვე ლება( უმალ ლესი დონე)	5						X		13	26	3	3	2	47	78	125
			HUS1E LVGSA L																	
2.	ქართული ენის მოკლე კურსი 2 (სინტაქსი)	არჩევი თი	HUS1EL SCGL2S	არ გააჩნი ა	5			X					13	26	3	3	2	47	78	125
3.	წერა 2	არჩევი თი	HUS1EL W2	წერა 1 HUS1E LW1	5					X			13	26	3	3	2	47	78	125
4.	ეგზისტენციალიზ მი; ინგლ. რეალისტ. რომანი	არჩევი თი	HUS1EL EERN	არ გააჩნი ა	5			X					13	26	3	3	2	47	78	125



სულ:				24	35	25	30	30	30	30	30	30								6000
------	--	--	--	----	----	----	----	----	----	----	----	----	--	--	--	--	--	--	--	------

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისური ენა და ლიტერატურა

პროგრამის სტრუქტურა ECTS 240

	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტები ს რაოდენობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VII I
	<b>საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები</b>		<b>30</b>								
1	უცხო ენა 1(რუსული/გერმანული/ფრანგული)	სავალდებულო		5							
2	უცხო ენა 2 (რუსული/გერმანული/ფრანგული)	სავალდებულო			5						
3	უცხო ენა 3 (რუსული/გერმანული/ფრანგული)	სავალდებულო				5					
4	უცხო ენა 4 (რუსული/გერმანული/ფრანგული)	სავალდებულო					5				
4	აკადემიური წერა	სავალდებულო	5	5							



12.	ინგლ. ენის სტილისტიკა	სავალდებულო	5								5
13.	ინგლ. ენის თეორიული ფონეტიკა	სავალდებულო	5							5	
14.	დარგობრივი ლიტერატურის ისტორია მე-19 საუკუნემდე	სავალდებულო	5		5						
15.	19-20 სს. დარგობრივი ლიტერატურის ისტორია	სავალდებულო	5					5			
16.	ჟანრების პოეტიკა და ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაცია	სავალდებულო	5					5			
17.	ლიტერატურული შედევრები და ფილმის სემინარი	სავალდებულო	5						5		
18.	წერა 1	სავალდებულო	5			5					
19.	ლიტერატურის თეორია	სავალდებულო	5				5				
20.	შესავალი კურსი ენათმეცნიერებაში	სავალდებულო	5				5				
21.	ქართული ენის მოკლე კურსი (ფონეტიკა/მორფოლოგია)	სავალდებულო	5	5							
22.	ფილოსოფიის შესავალი	სავალდებულო	5	5							
	<b>არჩევითი კურსები</b>		<b>20</b>								



	დამატებითი სპეციალობა/ თავისუფალი კრედიტები	არჩევითი	60			10	10	10	10	10	10
	სულ		240	35	25	30	30	30	30	30	30